ერთი მხრივ, შპს „ტელეკომპანია კავკასიასა“ და, მეორე მხრივ, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიას“, ააიპ „არასამეწარმეო მედია–კავშირ ობიექტივსა“ და შპს „ტელეკომპანია თბილისს“ შორის არსებული დავის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში ”კომისია”) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (10.07.2015 N№-6/4676-15) მიმართა შპს „ტელეკომპანია კავკასიამ“ კომისიის 2014 წლის 25 დეკემბერის N716/13 გადაწყვეტილების შესრულების პირობების შესწავლისა და თბილისის მულტიპლექსში მაუწყებლის ჩართვის ყოველთვიური ტარიფის ხარჯზე ორიენტირებულობის შესწავლის მიზნით.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომისიამ შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ 2014 წლის 25 დეკემბერს N716/13 გადაწყვეტილებით, თბილისის სხვა მაუწყებლებთან ერთობლივად მიანიჭა რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება თბილისის ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად 2015 წლის 17 ივნისიდან 10 წლის ვადით.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიამ“ (საიდენტიფიკაციო კოდი 203844723), შპს „ტელეკომპანია კავკასიამ“ (საიდენტიფიკაციო კოდი 203842823), ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივმა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404385465) და შპს „ტელეკომპანია თბილისმა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 202063818) სავალდებულო პირობების შესრულების მიზნით განახორციელეს ყველა საჭირო ტექნიკური და ფინანსური ოპერაცია და დროულად ააგეს თბილისის მულტიპლექსი, თანაბრად გაიღეს ხარჯები და შეიძინეს შესაბამისი ტექნიკა ცალ–ცალკე, რომელიც შემდგომში ფიზიკურად გაერთიანდა ერთ მულტიპლექსად და განთავსებულია საქართველოს ტელერადიოცენტრში. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ მულტიპლექსის მფლობელემბა ასევე დროულად, ხმათა სრული უმრავლესობით დაადგინეს მულტიპლექსპლატფორმაში დაშვების ტარიფი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული მაუწყებლებისთვის – 3600.00 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ერთი SD არხისთვის, სიჩქარით 2.5 მგბტ. წმ. მოწვევის ოფერტა წარმოდგენილი იყო კომისიაში და გამოქვეყნებული იყო მათ ვებგვერდზე www.multiplextbilisi.ge. როგორც განცხადებაშია აღნიშნული ამ ტარიფით მათ მულტიპლექსში ჩართვის დაინტერესება გამოთქვეს შემდეგმა მაუწყებლებმა: „ტვ 11“ და „იბერია“.

შპს „ტელეკომპანია კავკასია“ განცხადებაში აღნიშნავს, რომ კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად ქსელის ექსპლუატაციაში გაშვებამდე 4 კვირით ადრე მათ კომისიაში უნდა წარმოედგინათ და საკუთარ ვებ–გვერდზე გამოექვეყნებინათ მოწვევის ოფერტა, სადაც განსაზღვრული იქნებოდა სატელევიზიო კონტენტის ღია ეთერით 1 მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიური ტარიფი (რომელიც უნდა მოიცავდეს 24 საათიანი უწყვეტი მომსახურების მიწოდების (სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების) ყველა ხარჯს ერთი კალენდარული თვის პერიოდში, გარდა მაუწყებლის სტუდიიდან ქსელში დაშვების წერტილამდე (Head-end) სიგნალის მიწოდების ტარიფისა), სატელევიზიო სიგნალის მიწოდების კოორდინატები და სატელევიზიო სიგნალისა და ელექტრონული გზამკვლევისათვის (EPG) გადაცემათა პროგრამის მიწოდების ტექნიკური პარამეტრები; მათ ასევე უნდა უზრუნველეყოთ ქსელის ფარგლებში არსებულ რესურსთან თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატით (ხოლო დანარჩენ თავისუფალ რესურსთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული/ლიცენზირებული ტელემაუწყებლების) არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფით დაშვება და ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურების სახეების შეთავაზება.

როგორც შპს „ტელეკომპანია კავკასია“ განცხადებაში აღნიშნავს, 2015 წლის 30 ივნისს პარტნიორების მორიგ შეკრებაზე მისმა პარტნიორებმა მოულოდნელად, შპს „ტელეკომპანია კავკასიისთვის“ წინასწარი შეთანხმების გარეშე მიიღეს ტარიფის გაზრდის გადაწყვეტილება 8000.00 აშშ დოლარამდე. შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ დირექტორის, ქალბატონი ნინო ჯანგირაშვილის მიერ მოყვანილი არგუმენტები, რომ ეს ტარიფი არ იყო ხარჯზე ორიენტირებული და არღვევდა კომისიის 2015 წლის 25 დეკემბერის N716/13 გადაწყვეტილებას, რომ ეს ტარიფი იყო არარეალური საბაზრო ფასი მაუწყებლებისთვის, დაფარვის ზონიდან გამომდინარე, რომ ამ ტარიფით ისინი დაკარგავდნენ დამკვეთებს, პარტნიორებმა არ გაითვალისწინეს და სამი ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღეს გადაწყვეტილება. როგორც ნინო ჯანგირაშვილი განცხადებაში აღნიშნავს, პარტნიორებმა არც ის არგუმენტი გაითვალისწინეს, რომ ამით ირღვეოდა კომისიის გადაწყვეტილება და შესაბამისად აღნიშნული გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულებები. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ მოულოდნელად გაზრდილი ტარიფი პარტნიორებმა გამოაქვეყნეს ამხანაგობა მულტიპლექსთბილისის“ ვებ-გვერდზე, ისე, რომ არ შეატყობინეს კომისიას, რითაც შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ აზრით მათ კიდევ ერთი დარღვევა ჩაიდინეს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული ამ გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვნად აზარალა არა მხოლოდ მულტიპლექს ოპერატორების ინტერესები, არამედ არამართლზომიერად შეუზღუდა ავტორიზებულ მაუწყებლებს სიხშირულ რესურსზე ხელმისაწვდომობა, რითაც დაარღვია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ერთ–ერთი მთავარი პრინციპი და ამოცანა. ტარიფის მოულოდნელი გაზრდის შემდეგ ტელეკომპანიებმა – „იბერია“ და „ტვ 11“ უარი განაცხადეს მათ მულტიპლექსში ჩართვაზე. ნინო

ჯანგირაშვილის განცხადებით ერთკვირიანი მცდელობა, პარტნიორებისთვის მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის თაობაზე, უშედეგო აღმოჩნდა. შესაბამისად, ნინო ჯანგირაშვილს მიაჩნია, რომ აღნიშნული დავის დარეგულირება ამხანაგობის ფარგლებში შეუძლებელია.

განცხადებაში ნინო ჯანგირაშვილი აღნიშნავს, რომ ამხანაგობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა იქნას განხილული შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მონაწილეობით მიღებულ კოლექტიურ გადაწყვეტილებად და შესაბამისად, შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა კომისიის გადაწყვეტილების დარღვევისათვის. მისი განცხადებით კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული 5 მაუწყებლისგან, ზემოაღნიშნულმა ოთხმა მაუწყებელმა (შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიამ“ (საიდენტიფიკაციო კოდი 203844723), შპს „ტელეკომპანია კავკასიამ“ (საიდენტიფიკაციო კოდი 203842823), ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივმა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404385465) და შპს „ტელეკომპანია თბილისმა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 202063818)) ამხანაგობა „მულტიპლექს თბილისი“ შექმეს მხოლოდ მულტიპლექსის აგების და ფუნქციონირების ლოჯისტიკური საკითხების უკეთ წარმართვის მიზნით. როგორც ნინო ჯანგირაშვილი აღნიშნავს, მართალია, მათ მიერ განიხილებოდა სამომავლოდ მათ მიერ ცალ–ცალკე შეძენილი ქონების ამხანაგობისთვის გადაცემის საკითხი, რათა მესამე პირებთან ურთიერთობაში /ანმა, პოტენციური დამკვეთები/ და ტექნიკურ საკითხებში მათი მოქმედებები ყოფილიყო კოორდინირებული და ოპერატიული, თუმცა მას შემდეგ, რაც შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ დირექტორს მისი განცხადებით საფუძვლიანად შეეპარა ეჭვი მისი პარტნიორების კეთილსინდისიერებაში, სურს გაემიჯნოს ამხანაგობას.

კომისია აღნიშნავს, რომ მიმდინარე დავის ფარგლებში შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მოთხოვნებს წარმოადგენს:

1. კომისიამ შეისწავლოს კომისიის 2014 წლის 25 დეკემბერს N716/13 გადაწყვეტილების შესრულების პირობები, ამავე გადაწყვეტილებით მე–5 პუნქტის თ) და ი) ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების ნაწილში და დაადგინოთ თბილისის მულტიპლექსში მაუწყებლის ჩართვის ყოველთვიური ტარიფის ხარჯებზე ორიენტირებულობა;
2. კომისიამ დაუდასტუროს შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ რომ არის კომისიის 2014 წლის 25 დეკემბერს N716/13 გადაწყვეტილებით განსაზღვრული სიხშირული რესურსის თანასწორუფლებიანი მფლობელი და მოსარგებლე, რის გამოც მისი ინფორმირების გარეშე ან/და მისგან დამოუკიდებლად ქონების სარგებლობაში/მფლობელობაში გადაცემა დაუშვებელია;
3. კომისიამ განმარტოს, მიუხედავად იმისა თუ რა სამართლებრივი ფორმით თანამშრომლობს შპს „ტელეკომპანია კავკასია“ ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ამგებ (ინვესტორ) ზემოაღნიშნულ 3 მაუწყებელთან (ამხანაგობის ფარგლებში), ამ მაუწყებლებისაგან (ამხანაგობის წევრები) უდავოდ აღიარებული შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ ჩადებული ინვესტიციის (ერთი მეოთხედი) და მათ ბალანსზე არსებული ქონების (მულტიპლექსის მატერიალური ნაწილის) პირდაპირპროპორციულად შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ აქვს თუ არა უფლება და შესაძლებლობა ამხანაგობისაგან დამოუკიდებლად (მათი ინფორმირების პირობით), მაგრამ საერთო ტარიფის ფარგლებში თავად ისარგებლოს (გაუშვას საკუთარი სარედაქციო პასუხისმგებლობით მომზადებული პროგრამები/არხები) ან მოიზიდოს კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა მაუწყებლები თავისუფალ SD არხებთან, სიჩქარით 2.5 მგბტ. წმ. დასაშვებად.

კომისია აღნიშნავს, რომ დავის განხილვის მიზნით მოსამზადებელი სხდომა კომისიაში გაიმართა 2015 წლის 21 ივლისს 16:00 საათზე რომელსაც ესწრებოდნენ შპს „ტელეკომპანია კავკასიის“, შპს „ტელეკომპანია თბილისის“, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“ და ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ წარმომადგენლები. მოსამზადებელ სხდომაზე კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება N414/16, რომლის შესაბამისადაც, ერთი მხრივ, შპს „ტელეკომპანია კავკასიასა“ და, მეორე მხრივ, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიას“, ააიპ „არასამეწარმეო მედია–კავშირ ობიექტივსა“ და შპს „ტელეკომპანია თბილისს“ შორის დავის განხილვა დაინიშნა 2015 წლის 6 აგვისტოს 16:00 საათზე, ამავე გადაწყვეტილებით, დაევალა შპს „ტელეკომპანია კავკასიასა“, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიას“, ააიპ „არასამეწარმეო მედია–კავშირ ობიექტივს“ და შპს „ტელეკომპანია თბილისს“, 2015 წლის 28 ივლისამდე, კომისიაში წარმოედგინათ ამხანაგობა „მულტიპლექს თბილისის“ ყველა სხდომის ოქმი, დაკავშირებული თბილისის ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველყოფის საკითხთან, ასევე მათ მიერ კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” და კომისიის 2015 წლის 15 ივლისის N08/1411-15, N08/1412-15, N08/1413-15. N08/1414-15 წერილების დანართის მიხედვით, უახლესი მონაცემების საფუძველზე მომზადებული, თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურებების ტარიფების გაანგარიშების მოდელი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს როგორც კომისიაში 2015 წლის 18 მაისის Nშ/3013-15 წერილით წარმოდგენილი (თანდართულ) ოფერტით გათვალისწინებულ ტარიფებს, ასევე 2015 წლის 13 ივლისის Nშ-6/4698-15 წერილით წარმოდგენილი ოფერტით გათვალისწინებულ ტარიფებს.

კომისია აღნიშნავს, რომ 2015 წლის 27 ივლისს კომისიაში წარმოდგენილ იქნა შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიისა“ და ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ ერთობლივი განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ბოლო პერიოდში ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისში“ შექმნილმა ვითარებამ პრაქტიულად შეუძლებელი გახადა მულტიპლექსის მუშაობა, რაც იწვევს თავად მულტიპლექსის ფუნქციონირების შეფერხებას და ამავე დროს მატერიალურ ზარალსაც. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამხანაგობის წევრების მიერ არ არის ხელმოწერილი ამხანაგობის კრების ოქმები, რაც არაერთ პრობლემას უქმნის თავად ამხანაგობის ფუნქციონირებას, კერძოდ, იმის გამო, რომ ამხანაგობის ახალი დირექტორის დანიშვნის ოქმს ხელი არ მოეწერა, ამხანაგობამ ვერ შეძლო მოლაპარაკებების განხორციელება პოტენციურ დამკვეთებთან რის გამოც ამხანაგობას ადგება მატერიალური ზიანი, ამავე დროს, განცხადებაში აღნიშნულია, რომ სწორედ ამ პრობლემის გამო ამხანაგობამ საკუთარი სახელით ვერ გააფორმა ხელშეკრულება, რის გამოც თითოეული ამხანაგობის წევრს ცალ-ცალკე დაევალა ანძის მომსახურების თანხის გადახდა; როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამხანაგობა ვერ იღებს მონაწილეობას მოლაპარაკებებში, ვერ ახორციელებს საჭირო ტექნიკური ინვენტარის შეძენას, ვერ ახდენს მიღებულ კორესპოდენციაზე რეაგირებას; ამავე დროს, განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამხანაგობას არ აქვს გადაცემული ქონება სრულად, კერძოდ, ამხანაგობისთვის ქონების გადაცემა განახორციელა მხოლოდ ამხანაგობის ორმა წევრმა, შესაბამისად ვერ ხერხდება მისი ამხანაგობის ბალანსზე აღრიცხვა და გაურკვეველია ამ ქონების ექსპლუატაციის საკითხი და ამ ვითარებაში ამხანაგობას მოუწევს იმ დანაკლისი აპარატურის ახლიდან შეძენა, რაც მას არ გადმოსცემია. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ 2015 წლის 22 ივლისს გაიმართა ამხანაგობის კრების სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ამხანაგობის ოთხი წევრიდან მხოლოდ სამი. კრებაზე განსახილველ 6 საკითხს შორის იყო ტარიფის გაანგარიშების პრინციპებისა და წესის პროექტი. აღნიშნულ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწვეტილება დირექტორის დანიშვნის შესახებ, განისაზღვრა ამხანაგობის სტრუქტურა-საშტატო ერთეულები, განისაზღვრა მესამე პირების მიერ გაწეული ტექნიკური მომსახურების ანაზღაურების ზედა ზღვარი, თუმცა ვერ იქნა მიღებული გადაწყეტილება ტარიფის გაანგარიშების პრინციპებისა და წესის თაობაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განმცხადებლებს მიაჩნია, რომ დღეის მდგომარეობით ადმინისტრაციული წარმოება ტარიფის გაანგარიშების ნაწილში უნდა შეწყდეს, ვინაიდან რეალურად არ არსებობს ტექნიკური საშუალებები და მომსახურება.

კომისია აღნიშნავს, რომ 2015 წლის 4 აგვისტოს შპს „ევრიკა ტელერადიოკომანიისა“ და ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილ იქნა წერილი (Nშ-6/5514-15), სადაც აღნიშნულია, რომ კომპანიების მცდელობის მიუხედავად, ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“ ფარგლებში, ამხანაგობის წევრებს შორის არსებული უთანხმოების გამო ქსელის ფორმირების პროცესი ჯერჯერობით დასრულებული არ არის. თავის მხრივ შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია“ და ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი“ გამოთქვამენ მზადყოფნას რომ განახორციელონ ყველა საჭირო სამუშაოები კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების შესრულების მიზნით.

კომისია აღნიშნავს, რომ დავის განხილვა კომისიაში გაიმართა 2015 წლის 6 აგვისტოს სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ შპს „ტელეკომპანია კავკასიის“, შპს „ტელეკომპანია თბილისის“, ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივისა“ და შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“ წარმომადგენლები.

კომისიის სხდომაზე ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიისა“ და ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“ წარმომადგენელმა ქალბატონმა რუსუდან პიტავამ კომისიის წინაშე დააყენა შუამდგომლობა საკითხის განხილვის გადადების თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც ქალბატონმა რუსუდანმა აღნიშნა ის, როგორც კომპანიების წარმომადგენელი არ იცნობდა ადმინისტრაციული წარმოების მასალებს სრულად და შესაბამისად ესაჭიროებოდა დრო წარმოების მასალების გასაცნობად; ამავე დროს, ქალბატონმა რუსუდანმა აღნიშნა, რომ საკითხის განხილვის გადადება მიზანშეწონილია ასევე იქიდან გამომდინარეც, რომ არსებობს შესაძლებლობა, რომ მოდავე მხარეები მორიგდნენ. კომისიამ განიხილა ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიისა“ და ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“ წარმომადგენლის შუამდგომლობა და საქართველოს ზოგადი ამდინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად დააკმაყოფილა შუამდგომლობა და საკითხის განხილვა გადაიდო 2015 წლის 20 აგვისტოს 16:00 საათზე.

კომისია აღნიშნავს, რომ ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიისა“ და ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“ წარმომადგენელს ქალბატონ რუსუდან პიტავას გადაეცა ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულად, ამავე დროს, კომისიის მიერ 2015 წლის 7 აგვისტოს წერილებით (N03/1628-15; N03/1629-15; N03/1630-15; N03/1631-15; N03/1632-15) შპს „ტელეკომპანია კავკასიის“, შპს „ტელეკომპანია თბილისის“, ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივისა“ და შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიისგან“ გამოთხოვილ იქნა ტარიფების გაანგარიშებების მოდელები, კომისიის მიერ მოთხოვნილი ფორმატით, გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობით აღნიშნული გაანგარიშების მოდელები კომისიაში წარმოდგენილი არ იყოს; ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ კომისიის 2015 წლის 6 აგვისტოს სხდომაზე შპს „ტელეკომპანია

კავკასიის“ წარმომადგენელმა ნინო ჯანგირაშვილმა დააყენა მოთხოვნა ამხანაგობა „მულტიპლექს თბილისისგან“ 2015 წლის 30 ივნისს და 7 ივლისის სხდომის ოქმების, მათ შორის 2015 წლის 7 ივლისის სხდომის ვიდეო ჩანაწერის გამოთხოვის თაობაზე, კომისიის მიერ მოთხოვნილ იქნა 2015 წლის 30 ივნისისა და 7 ივლისის სხდომის ოქმები (მათ შორის 2015 წლის 7 ივლისის სხდომის ოქმის ვიდეო ჩანაწერი).

კომისია აღნიშნავს, რომ 2015 წლის 17 აგვისტოს კომისიაში წარმოდგენილ იქნა შპს „ტელეკომპანია თბილისის“ განცხადება (Nშ-6/5902-15), სადაც აღნიშნულია, რომ 2015 წლის 30 ივნისას და 7 ივლისის ამხანაგობის კრების ოქმები კომპანიას ფიზიკურად არ აქვს იმ მიზეზის გამო, რომ აღნიშნული ოქმები სათანადო წესით არ გაფორმებულა, რაც შეეხება 7 ივლისის სხდომის ვიდეო ჩანაწერს, განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვიდეო ჩანაწერი ინახება ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ ადმინისტრაციაში. განხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ კოპანიას 2015 წლის 31 ივლისის წერილით კომისიაში წარმოდგენილი აქვს ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო სხვა ინფორმაციის წარმოდგენა ვერ ხორციელდება იმის გამო, რომ ამხანაგობის წევრ კომპანიებს შორის ვერ მოხდა შეთანხმება გარკვეულ საკითხებზე, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ტარიფის გაანგარიშების საფუძველი.

2015 წლის 12 აგვისტოს კომისიაში წარმოდგენილ იქნა ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ და შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“ ერთობლივი განცხადებები (Nშ-6/5801-15; Nშ-6/5802-15), სადაც აღნიშნულია, რომ კომისიაში 2015 წლის 18 მაისის Nშ-6/3013-15 წერილით წარმოდგენილი ოფერტა განისაზღვრა ამხანაგობის წევრების ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, რომლის შედეგადაც ამხანაგობის დირექტორს დაევალა ოფერტის კომისიაში წარმოდგენა. ტარიფის განსაზღვრის შესახებ ამხანაგობის წევრებს შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა, გამომდინარე იქიდან, რომ ამხანაგობის წევრებისთვის გაურკვევლობას ქმნიდა ის საკითხი თუ რა ხარჯთან იყო დაკავშირებული თბილისის მულტიპლექსის ფორმირება, განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ 2015 წლის 30 ივნისს გაიმართა ამხანაგობის საერთო კრების ერთ-ერთი სხდომა, სადაც დადგა ტარიფის შეცვლის საკითხი. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მიუხედავად იმისა რომ სხდომა ჩატარდა, მოგვიანებით ამხანაგობის ორი წევრის: შპს „ტელეკომპანია კავკასიისა“ და შპს „ტელეკომპანია თბილისის“ წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს სხდომის ოქმის ხელმოწერაზე, შესაბამისად, განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 30 ივნისისა და 7 ივლისის სხდომის ოქმები არ არის გაფორმებული სათანადო წესით და ვერ განხორციელდება მათი კომისიაში წარმოდგენა, რაც შეეხება ვიდეო ჩანაწერს, განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვიდეო ჩანაწერი არის ე.წ. შიდა მოხმარების ინფორმაცია და მას არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ამხანაგობის წევრებმა ააიპ „მედია კავშირმა ობიექტივმა“ და შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიამ“ გაითვალისწინა რა ამხანაგობის დანარჩენი წევრების მიერ ოქმზე ხელმოუწერლობის შემთხვევები, ამხანაგობის საერთო კრების შემდგომი სხდომა, კერძოდ 2015 წლის 22 ივლისის კრება, სადაც განიხილებოდა ტარიფის დადგენისა და აღნიშნული ტარიფის გაანგარიშების საკითხები, ჩატარდა ნოტარიუსის დასწრებით (თუმცა კრებაზე საკითხის მიღება ვერ მოხერხდა), ოქმი გაფორმდა შესაბამისი წესით და წარმოდგენილია კომისიაში. აღნიშნულ განცხადებას ასევე თანდართული აქვს ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივისა“ და შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“ მიერ მულტიპლექსის ფორმირებისთვის ტექნიკური საშუალებების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

კომისიაში წარმოდგენილ განცხადებაში (Nშ-6/5802-15) აღნიშნულია, რომ კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების საფუძველზე, ოთხმა მაუწყებელმა შპს „ტელეკომპანია კავკასიამ“ ააიპ „არასამეწარმეო მედია კავშირმა ობიექტივმა“, შპს „ტელეკომპანია თბილისმა“ და შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიამ“ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ფარგლებში შექმნეს ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისი“, თითოეულმა მაუწყებელმა შეიძინა მულტიპლექსის ასაგებად საჭირო ტექნიკური საშუალებები. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიამ“ და ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირმა ობიექტივმა“ გადასცეს შეძენილი ტექნიკური საშუალებები ამხანაგობას, რომელიც არ არის საკმარისი ერთიანი მულტიპლექსის ფუნქციონირებისთვის. როგორც განცხადებაში აღნიშნული, დღევანდელი მდგომარეობით, მულტიპლექსის ფუნქციონირებისთვის საწყის ეტაპზე საჭირო ტექნიკური საშუალებები ფიზიკურად განთავსებულია თბილისის ანძაზე, დაკავშირებულია ერთმანეთთან და ფუნქციონირებს, ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხორციელდება შპს „ტელეკომპანია თბილისისა“ და შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მაუწყებლობა, თუმცა იმის გამო, რომ ამხანაგობის საწესდებო კაპირტალში შეტანილია ამ ტექნიკური საშუალებების მხოლოდ ნაწილი, რომელიც თავისთავად არ ქმნის ერთიან მულტიპლექსს, ამხანაგობა ვერც ამხანაგობის წევრებს და ვერ მესამე, დაინტერესებულ პირებს ვერ სთავაზობს მომსახურებას. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ მულტიპლექსის ფორმირება არც სამართლებრივად და არც ტექნიკურად დასრულებული არ არის.

კომისია აღნიშნავს, რომ 2015 წლის 20 აგვისტოს სხდომას ესწრებოდნენ შპს „ტელეკომპანია კავკასიის“, შპს „ტელეკომპანია თბილისის“, ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივისა“ და შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“ წარმომადგენლები.

კომისიის 2015 წლის 20 აგვისტოს სხდომაზე წარმოდგენილ იქნა შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ განცხადება განსახილველ დავასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ შპს „ევრიკა

ტელერადიოკომპანიისა“ და ააიპ „არასამეწარმეო მედია კავშირი ობიექტივის“ მიერ მიმდინარე დავის ფარგლებში გაკეთებული განცხადებებით ტარიფთან დაკავშირებით მსჯელობა, ისევე როგორც თავად თბილისის მულტიპლექსის ფუნქციონირება შეუძლებელია იმის გამო, რომ თბილისის მულტიპლექსის ფორმირების პროცესი დასრულებული არ არის და ამავე დროს, ამხანაგობის ყველა წევრის, მათ შორის შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ არ არის განხორციელებული შენატანი ამხანაგობაში. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, შპს „ტელეკომპანია კავკასია“ ცდილობდა კომისია არ შეეყვანა მხარეთა შორის არსებული სადავო საკითხის სამოქალაქო სამართლებრივ ნაწილში, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს კომისიის განხილვის საგანს, თუმცა კომპანიას სურს მარეგულირებელს მიწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ერთობლივი საქმიანობის შესახებ 2014 წლის 3 დეკემბრის ხელშეკრულების 3.3 მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი შენატანი წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას, ისევე, როგორც დანარჩენი ქონება, რომელიც შეძენილი იქნება საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე. გარდა ამისა, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“ 2015 წლის 5 მარტის კრების ოქმში აღნიშნულია, რომ ამხანაგობის წევრები შეთანხმდნენ, რომ ყველა სახის ქონება წარმოადგენს ამხანაგობის საერთო საკუთრებას. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ არაერთხელ გაუკეთებია განცხადება ამხანაგობის სხდომებზე თუ საერთო ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომ მიუხედავად პარტნიორებს შორის დავის მიმდინარეობისა და ნებისმიერი შედეგისა, საერთო მიზნებისთვის შეძენილი ქონება რჩება პარტნიორების საერთო განკარგულებაში და ვერცერთი პარტნიორი მას ვერ შეეხებოდა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აღნიშნული პირდაპირ გაარღვევდა კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, შესაბამისად, შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ მიაჩნია, რომ შპს „ევრიკა ტელეკომპანიისა“ და ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივისთვის“ ცნობილია ის ფაქტი, რომ ამხანაგობის არც ერთ წევრს არ მოუწევს ქონების ხელახლა შეძენა და დამატებითი ინვესტიციების განხორციელება. შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ განცხადებით ამ დრომდე შეძენილი ქონების ღირებულება ვერანაირად ვერ იქნება უკვე განხორციელებულ საერთო ინვესტიციაზე მეტი, რომელიც დღეის მდგომარეობით შეადგენს 160 000 აშშ დოლარს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული სადაოდ რჩება მხოლოდ ფინანსურად და ბუღალტრულად ქონების ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის საკითხი, რაც შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ განცხადებით დავის საგანი გახდა მას შემდეგ, რაც მისი განცხადებით ამხანაგობის რიგმა წევრებმა გამოიჩინეს უპატივცემულობა კანონის, ამხანაგობის წესდების და პარტნიორების მიმართ და საფრთხის ქვეშ დააყენეს კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ თბილისის ზონის ციფრული გადამცემი ექსპლუატაციაში გაშვებულია 2015 წლის 1 ივლისიდან, არის სრულიად გამართული, ოთხი კომპანიის მიერ ცალ–ცალკე შეძენილი ტექნიკა ფიზიკურად გაერთიანებულია ერთ მულტიპლექსად, რომელსაც დღესვე შეუძლია იმაუწყებლოს 6 SD არხის დატვირთვით, დამატებითი მოთხოვნის შემთხვევაში კი მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში ტექნიკურად უზრუნველყოს დამატებითი არხების გატარება. განცხადებას თანდართული აქვს კონტრაქტორი კომპანიის, შპს “მზის“ წერილს, რომელშიც ასახულია თბილისის მულტიპლექსის დღევანდელი მდგომარეობა და მოცემულია ყველა კითხვაზე პასუხი, რაც ადასტურებს, რომ შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია“ და ააიპ „არასამეწარმეო მედია - კავშირი ობიექტივი“ მცდარ ინფორმაციას აწვდიან კომისიას, კომისიაში წარმოდგენილი წერილებით. როგორც განცხადებაშია აღნიშნული მცდარია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თბილისის ტელეანძაზე შპს „ტელეკომპანია კავკასიისა“ და შპს „ტელეკომპანია თბილისის“ კუთვნილი ქონების განთავსებისთვის თანხას იხდის ამხანაგობა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ყოველთვიური იჯარის თანხა გაიყო ოთხზე და შპს „ტელეკომპანია კავკასიამ“ უკვე გადაურიცხა შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“ მასზე წილობრივად რიცხული თანხა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც თანდართული აქვს განცხადებას. შესაბამისად, შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ განცხადებით თბილისის მულტიპლექსის ოპერირებას ამ ეტაპზე პრობლემა არ ექმნება, გარდა იმ გარემოებისა, რომ თავად მინიჭების ორი სუბიექტი – შპს “ევრიკა ტელერადიოკომპანია“ და ააიპ “არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი“ არ მაუწყებლობს აღნიშნული მულტიპლექსით; რაც შეეხება სხვა დაინტერესებული მაუწყებლების ჩართვას, განცხადებაში აღნიშნულია, რომ სხვა მაუწყებლებმა მათ მულტიპლექსში ჩართვა ვერ შეძლეს სწორედ იმ მიზეზით, რაც წარმოადგენს დავის საგანს, კერძოდ იმის გამო, რომ ამხანაგობის წევრებმა, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიამ“ და ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირმა ობიექტივმა“ გაზარდეს დაშვების ტარიფი, რის საფუძველზეც ორმა მაუწყებელმა უარი განაცხადა ამხანაგობასთან თანამშრომლობაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ მიაჩნია, რომ სახეზეა თბილისის ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლებისათვის რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის თ) ქვეპუნქტის დარღვევა. განცხადებაში შპს „ტელეკომპანია კავკასია“ ასევე ითხოვს კომისიამ გააკეთოს განმარტება კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრული სუბიექტების უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განაწილების, მათ შორის ამხანაგობის წევრების უფლება მოვალეობების თაობაზე. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით თბილისის 5 მაუწყებლებისთვის

სიხშირის მინიჭება განხორციელდა სწორედ იმ მოტივით, რომ აღნიშნული კომპანიები წარმოადგენდნენ მაუწყებლებს და შესაბამისად, არ უნდა დაზარალებულიყო მათი კანონიერი ინტერესები. შპს „ტელეკომპანია კავკასია“ კომისიისგან ითხოვს განმარტებას იმის თაობაზე, თუ რა ბედი ელით შპს “ევრიკა ტელერადიოკომპანიას“ და ააიპ “არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივს“ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ განახორციელებენ თბილისის ციფრული მიწისზედა ქსელით მაუწყებლობას.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2015 წლის 20 აგვისტოს სხდომაზე გამოიკვეთა, რომ მხარეებს შორის, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება მორიგებასთან დაკავშირებით. 2015 წლის 20 აგვისტოს სხდომაზე კომისიამ მოუსმინა რა მხარეების არგუმენტებს, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღად დასახელდა 2015 წლის 17 სექტემბრის 16:00 საათი. კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2015 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“ მიერ თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურებების ტარიფების გაანგარიშების მოდელი. აღნიშნული მოდელები 2015 წლის 16 სექტემბერს გადაეგზავნა მხარეებს (ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისს“ წერილი N03/1959-15; შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ წერილი N03/1960-15; შპს „ტელეკომპანია თბილისს“ წერილი N03/1961-15; შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია“ წერილი N03/1962-15; ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი“ წერილი N03/1963-15). კომისიის 2015 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე, შპს „ტელეკომპანია კავკასიის“, შპს „ტელეკომპანია თბილისის“ ააიპ „მედია კავშირი ობიექტივისა“ და შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“ წარმომადგენლებმა მოითხოვეს დრო, გაანგარიშების მოდელის გაცნობის მიზნით, შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოცხადება გადაიდო 2015 წლის 24 სექტემბერს 15:00 საათზე.

კომისია აღნიშნავს, რომ 2015 წლის 22 სექტემბერს კომისიაში წარმოდგენილ იქნა ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ და შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“ წერილები (შ-6/7046-15 და Nშ-6/7070-15), სადაც აღნიშნულია რომ ტარიფების გაანგარიშების მოდელებთან დაკავშირებით განხილვა და მსჯელობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იარსებებს მომსახურების გაწევის შესაძლებლობა, რაც ნიშნავს შესაბამის ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მომსახურებას. როგორც განცხადებებშია აღნიშნული, იმის გათვალისწინებით, რომ მაუწყებლები ჯერ კიდევ ერთობლივად ვერ მართავენ თბილისის მულტიპლექსს და არ არის ცნობილი ყოველთვიური გასაწევი ხარჯების რაოდენობა, შეუძლებელია კომპანიებმა აიღონ პასუხისმგებლობა და უარყონ ან დაადასტურონ კომისიის მიერ გაკეთებული გაანგარიშებების შესაძლებლობა, მანამ, სანამ თავად ამხანაგობის წევრებისთვის არ იქნება ცნობილი მულტიპლექსის სრულყოფილად ფუნციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯის ოდენობა.

დავის განხილვასთან დაკავშირებით კომისიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა შესწავლა-ანალიზის, ასევე თავად კომისიის მიერ შესწავლილი საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კომისია აღნიშნავს შედეგს:

1. ანალოგური მიწისზედა ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა წარმოადგენდა სახელმწიფო მნიშვნელობის ფართომასშტაბიან რეფორმას, რომელიც ჟენევის 2006 წლის GE06 ხელშეკრულების ფარგლებში საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ერთ-ერთი საერთაშორისო ვალდებულება იყო. მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომლის შესაბამისადაც შემუშავდა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით მოწონებული „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები“;

2. საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 20 თებერვალს მიღებულ იქნა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 27 თებერვალს (სარეგისტრაციო კოდი 320110000.05.001.017341). აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტით განისაზღვრა კომისიის ვალდებულება, მოთხოვნის შემთხვევაში, ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ფორმირებისათვის ადგილობრივ საეთერო ტელემაუწყებლებისთვის უსასყიდლოდ მიენიჭებინა საჭირო რადიოსიხშირული რესურსი 2015 წლის 17 ივნისისთვის მათი სამაუწყებლო ლიცენზიებით განსაზღვრული არეალის შენარჩუნებით, 10 წლის ვადით. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტით განისაზღვრა, რომ კანონის მე-8 პუნქტის მოთხოვნათა შესასრულებლად კომისიას უნდა ეხელმძღვანელა „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით;

3. კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია, რომ თუ ადგილობრივ ზონაში ფუნქციონირებს ერთზე

მეტი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებელი, რომელთაც სურვილი აქვთ უზრუნველყონ ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება, კომისია ვალდებულია რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება უსასყიდლოდ და ღია კონკურსის გარეშე მიანიჭოს არსებულ ადგილობრივ საეთერო მაუწყებელთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, მისი ფორმირებისა და კომისიაში შესაბამისი განაცხადის წარდგენის შემთხვევაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ადგილობრივ ზონაში ჩამოყალიბდა ერთზე მეტი გაერთიანება (და/ან რომელიმე ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, მისი სურვილის მიუხედავად, ვერ გაერთიანდა შესაბამის ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებაში) კომისია ვალდებულია ღია კონკურსის წესით განახორციელოს ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო რადიოსიხშირული რესურსის გაცემა;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილებით თბილისის ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება 2015 წლის 17 ივნისიდან 10 წლის ვადით მიანიჭა თბილისის ადგილობრივ მაუწყებლებს: შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი 203844723), შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი 203842823), ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404385465) შპს „ტელეკომპანია თბილისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 202063818) და შპს „ტელეკომპანია პიკს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 202395247). ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვა ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ამგები მაუწყებლების ვალდებულებები, კერძოდ, რომ ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ამგებმა მაუწყებლებემა:

ა) უზრუნველყონ ქსელის აგება DVB-T2 COFDM პარამეტრებზე დაყრდნობით და ქსელში ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარე არანაკლებ -33.1 მგბ/წმ;

ბ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ფარგლებში უზრუნველყონ სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება 2.15 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების - მინიმუმ 1. 7 მგბ/წმ) სიჩქარით და მაღალი გარჩევადობის (HD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება 8 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების - მინიმუმ 7 მგბ/წმ) სიჩქარით. (აღნიშნული სიჩქარე განსაზღვრულია, როგორც სტატისტიკური მულტიპლექსირების საშუალო სიჩქარე ერთი კვირის განმავლობაში და მოიცავს ვიდეო, აუდიო და სუბტიტრირების შესაბამისი მონაცემების გადაცემას);

გ) მულტიპლექს პლატფორმაში განათავსონ (შესაბამისი ტელემაუწყებლების) სატელევიზიო პროგრამების შესახებ 7 დღის ინფორმაცია და მოთხოვნის შემთხვევაში ურთიერთგაცვალონ პროგრამათა ელექტრონული გზამკვლევის ყველა შესაბამისი ინფორმაცია ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის სხვა ოპერატორთან. (მულტიპლექს პლატფორმაში ელექტრონული გზამკვლევის შესაბამისი ინფორმაციისათვის (PSI/SI) გამოყოფილი უნდა იქნას მინიმუმ 0.8 მგბტ/წმ გამტარუნარიანობა);

დ) დაიცვან „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ოპერირების წესები, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე http://www.economy.ge/ge/media/news/cifrul-miwiszeda-satelevizio-mauwyeblobaze-gadasvlis-samoqmedo-gegma-da-rekomendaciebi და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115066);

ე) 2016 წლის 1 მარტამდე უზრუნველყონ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული გადამცემი სადგურის გამოყენებით ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ფორმირება;

ვ) ჩრდილოვანი ზონების დასაფარად დამატებითი საიტის/საიტების დაგეგმარების შემთხვევაში მომართონ კომისიას, რომელიც თავის მხრივ განახორციელებს შესაბამისი რადიოსიხშირული რესურსისა და ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრას;

ზ) ქსელის ფარგლებში არსებული რესურსი გამოიყენონ ღია საეთერო ან/და მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული/ ლიცენზირებული მაუწყებლების) სატელევიზიო პროგრამის გასავრცელებლად;

თ) ქსელის ექსპლუატაციაში გაშვებამდე 4 კვირით ადრე წარუდგინონ კომისიას და გამოაქვეყნონ საკუთარ ვებ–გვერდებზე მოწვევის ოფერტა, სადაც განსაზღვრული იქნება სატელევიზიო კონტენტის ღია ეთერით 1 მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიური ტარიფი (რომელიც უნდა მოიცავდეს 24 საათიანი უწყვეტი მომსახურების მიწოდების (სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების) ყველა ხარჯს ერთი კალენდარული თვის პერიოდში, გარდა მაუწყებლის სტუდიიდან ქსელში დაშვების წერტილამდე (Head-end) სიგნალის მიწოდების ტარიფისა), სატელევიზიო სიგნალის მიწოდების კოორდინატები და სატელევიზიო სიგნალისა და ელექტრონული გზამკვლევისათვის (EPG) გადაცემათა პროგრამის მიწოდების ტექნიკური პარამეტრები;

ი) უზრუნველყონ ქსელის ფარგლებში არსებულ რესურსთან თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატით (ხოლო დანარჩენ თავისუფალ რესურსთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული/

ლიცენზირებული ტელემაუწყებლების) არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფით დაშვება და ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურების სახეების შეთავაზება;
კ) ტელემაუწყებლების ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში სავალდებულო დაშვებასთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანის შემთხვევაში უზრუნველყონ შესაბამისი კანონისმიერი ვალდებულების შესრულება;
ლ) შექმნან სპეციალური ვებ-გვერდი, სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია დაფარვის ზონის შესახებ და უზრუნველყონ მომხმარებელთა ცხელი ხაზით მომსახურება.
4. კომისია აღნიშნავს, რომ თბილისის ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ფუნქციონირებისთვის საჭირო რადიოსიხშირული რესურსის მინიჭების, ქსელის ფორმირებისა და ექსპლოატაციის მიზნით, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 203844723), შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 203842823), ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404385465) და შპს „ტელეკომპანია თბილისის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 202063818) მიერ შექმნილ იქნა ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისი“, ერთობლივი საქმიანობის შესახებ 2014 წლის 3 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე. ამხანაგობის წევრების უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობისა და ერთობლივი საქმიანობის ორგანიზების საკითხები, მათ შორის ერთობლივი საქმიანობის ორგანიზებისთვის ფინანსური თუ სხვა სახის შენატანებისა და დამატებითი ხარჯების გაღების საკითხები განსაზღვრულ იქნა სწორედ აღნიშნული ხელშეკრულებით;

შესაბამისად, კომისია აღნიშნავს, რომ ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში, ამხანაგობის წევრების მიერ ფინანსური თუ სხვა სახის შენატანების განხორციელებისა და საკუთრების უფლების, ისევე როგორც ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცედურული საკითხები, წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელიც მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და მხარეთა შორის გაფორმებული ერთობლივი საქმიანობის შესახებ 2014 წლის 3 დეკემბრის ხელშეკრულებით; შესაბამისად, ამხანაგობის ფარგლებში მხარეების მიერ ნაკისრი უფლება-მოვალეობების განხორციელების საკითხი ვერ გახდება კომისიის განხილვისა და მსჯელობის საგანი.
5. კომისია აღნიშნავს, რომ შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია“, შპს „ტელეკომპანია კავკასია“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივი“ და შპს „ტელეკომპანია თბილისი“ წარმოადგენენ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებს, რომლებსაც ერთობლივად აქვთ გავლილი კომისიაში ავტორიზაცია (ავტორიზაციის თარიღი 14.07.2015) შემდეგი სახის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე:
A.T.1 ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელითა და საშუალებებით ასევე შესაბამისი ელემენტებით უზრუნველყოფა;
B.T.1 ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელითა და საშუალებებით სატელევიზიო არხების ტრანზიტი;
6. კომისია აღნიშნავს, რომ 2015 წლის 18 მაისს, ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“ დირექტორის, ოთარ ჩხარტიშვილის ხელმოწერით კომისიაში წარმოდგენილ იქნა განცხადება N შ-6/3013-15, სადაც აღნიშნულია, რომ კომისიის 2015 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების შესაბამისად, ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისმა“ შექმნა სპეციალური ვებ გვერდი http://multiplextbilisi.ge/ სადაც განთავსდა მოწვევის ოფერტა და ინფორმაცია ცხელი ხაზის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მიმდინარეობს ძირითადი ტექნიკური სამუშაოები და ამხანაგობა ფიქრობს, რომ შეძლებს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ექსპლოატაციაში შესვლისთვის ყველა საჭირო პროცესების არაუგვიანეს 2015 წლის 18 ივნისამდე დასრულებას.

განცხადებას თანდართული აქვს მოწვევის ოფერტა თბილისის ადგილობრივი ციფრული მაუწყებლობის SD არხით მომსახურების თაობაზე, რომლის მე-4 მუხლის (მომსახურების პირობები და საფასურის გადახდის წესი) 4.1 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგი:
„4.1. მომსახურების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად: „მაუწყებელი ვალდებულია „მულტიპლექსთბილისს“ თბილისის ზონაში ღია ეთერით თვეში 1მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის გადაუხადოს 1440$ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, დღგ-ს ჩათვლით. მხარეები ვთანხმდებით, რომ ერთი SD სტანდარტის სატელევიზიო კონტენტის ღია ეთერით გავრცელებისას სიჩქარე უნდა იყოს არანაკლებ 2.5 მგბ/წმ. ამდენად, მომსახურების ყოველთვიური სრული გადასახდელია 3600$ (1440$X2.5) ექვივალენტი ლარში. ზემოაღნიშნული თანხა მოიცავს დღგ-ს. მისი გადახდა ხდება გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის შესაბამისი კურსით უნაღდო ანგარიშწორების წესით...;“

დავის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში კომისიის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (post@gncc.ge) ელექტრონული ფოსტიდან info@multiplextbilisi.ge გადმოგზავნილ იქნა მოწვევის ოფერტა თბილისის ადგილობრივი ციფრული მაუწყებლობის SD არხით მომსახურების თაობაზე, რომლის მე-4 მუხლის (მომსახურების პირობები და საფასურის გადახდის წესი) 4.1 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგი:
„4.1. მომსახურების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად: „მაუწყებელი ვალდებულია „მულტიპლექსთბილისს“ თბილისის ზონაში ღია ეთერით თვეში 1მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის გადაუხადოს

3200$ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, დღგ-ს ჩათვლით. მხარეები ვთანხმდებით, რომ ერთი SD სტანდარტის სატელევიზიო კონტენტის ღია ეთერით გავრცელებისას სიჩქარე უნდა იყოს არანაკლებ 2.5 მგბ/წმ. ამდენად, მომსახურების ყოველთვიური სრული გადასახდელია 8000$ დღგ-ს ჩათვლით, ექვივალენტი ლარებში გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის ოფიციალური კურსის შესაბამისად". ანალოგიური ჩანაწერია ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის" ოფიციალურ ვებ გვერდზე ინტერნეტში http://multiplextbilisi.ge/ გამოქვეყნებულ მოწვევის ოფერტაში, თბილისის ადგილობრივი ციფრული მაუწყებლობის SD არხით მომსახურების თაობაზე, რომელიც ამობეჭდილ იქნა აღნიშნული ვებ გვერდიდან ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას 2015 წლის 5 აგვისტოს.

7. კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის თ) და ი) ქვეპუნტების შესაბამისად განსაზღვრულია, რომ ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ამგებმა მაუწყებლებმა:

„თ) ქსელის ექსპლუატაციაში გაშვებამდე 4 კვირით ადრე წარუდგინონ კომისიას და გამოაქვეყნონ საკუთარ ვებ–გვერდებზე მოწვევის ოფერტა, სადაც განსაზღვრული იქნება სატელევიზიო კონტენტის ღია ეთერით 1 მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიური ტარიფი (რომელიც უნდა მოიცავდეს 24 საათიანი უწყვეტი მომსახურების მიწოდების (სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების) ყველა ხარჯს ერთი კალენდარული თვის პერიოდში, გარდა მაუწყებლის სტუდიიდან ქსელში დაშვების წერტილამდე (Head-end) სიგნალის მიწოდების ტარიფისა), სატელევიზიო სიგნალის მიწოდების კოორდინატები და სატელევიზიო სიგნალისა და ელექტრონული გზამკვლევისათვის (EPG) გადაცემათა პროგრამის მიწოდების ტექნიკური პარამეტრები;

ი) უზრუნველყონ ქსელის ფარგლებში არსებულ რესურსთან თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატით (ხოლო დანარჩენ თავისუფალ რესურსთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული/ ლიცენზირებული ტელემაუწყებლების) არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და **ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფით დაშვება** და ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურების სახეების შეთავაზება;"

კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულების გათვალისწინებითა და კომისიაში მიმდინარე დავის ფარგლებში, შპს „ტელეკომპანია კავკასიის" ერთ-ერთი მოთხოვნის შესაბამისად, ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის" წევრების მიერ კომისიაში წარმოდგენილი გაანგარიშებებისა და ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ შესწავლილ იქნა ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის" მიერ თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების ტარიფები და წარმოდგენილ იქნა ტარიფების გაანგარიშების მოდელები (შ-10/6781-15) სადაც აღნიშნულია შემდეგი:

„ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისმა" 2015 წლის 12 აგვისტოს N შ-6/5801-3 წერილით (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი) კომისიაში წარმოადგინა თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურებების ტარიფების გაანგარიშების მოდელი (შემდგომში „მოდელი" ცხრილი N1).

ცხრილი N 1

თანხები წარმოდგენილია აშშ დოლარებში			1 აშშ დოლარი = 2,2980										
			ქსელის ელემენტების ღირებულება და მომსახურების ხარჯები										
			შესყიდვის ღირებულება	დატვირთული კაპიტალი (საბალანსო ღირებულება)	დატვირთული კაპიტალის ღირებულება	ცვეთა და ამორტიზაცია	პერსონალის ხელფასი	კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	მოხმარებული მასალები	სულ პირდაპირი ხარჯები	ქსელის ელემენტების იჯარის ხარჯი	ზედნადები ხარჯები	სულ ხარჯები
			a	b	c	d	g	h	j	m	n	o	p
		"ენკოდერები"		$0,00	$0,00	$0,00				$0,00		$0,00	$0,00
		ფორმირებული მულტიპლექსი	$135 593,00	$135 593,00	$3 728,81	$2 259,88				$5 988,69	$2 610,97	$1 197,74	$9 797,40
		სუბტიტრების გენერატორი	$20 000,00	$20 000,00	$550,00	$333,33				$883,33		$176,67	$1 060,00
		ჩრდილოვანი ზონების აღმოჩენა/აღმოფხვრა	$5 000,00	$5 000,00	$137,50	$83,33	$3 500,00			$3 720,83		$744,17	$4 465,00
7	ქსელის დამხმარე საშუალებები	გაგრილების საშუალებები	$330,43	$330,43	$9,09	$5,51				$14,59		$2,92	$17,51
		UPS	$3 200,00	$3 200,00	$88,00	$53,33				$141,33		$28,27	$169,60
		გენერატორი	$6 000,00	$6 000,00	$165,00	$100,00				$265,00		$53,00	$318,00
		სხვა	$119,48	$119,48	$3,29	$1,99			$17,21	$22,48		$4,50	$26,98
8	ადმინისტრაციული ხარჯები			$0,00	$0,00	$0,00	$5 630,00	$150,00		$5 780,00	$500,00	$1 156,00	$7 436,00
სულ			$170 242,91	$170 242,91	$4 681,68	$2 837,38	$9 130,00		$17,21	$16 816,27	$3 110,97	$3 363,25	$23 290,49

ამორტიზაციის ნორმა - %	20		
WACC -კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი განაკვეთი - %	33	მგბ/წმ -ის ექსპლ. შემთხვევაში - 1 მგბ/წმ -ის ღირებულება	**$1 553**
ზედნადები ხარჯები - %	20	2,5 მგბ/წმ -ის ღირებულება	**$3 882**

წარმოდგენილ მოდელთან დაკავშირებული შენიშვნებით კომისიამ 2015 წლის 18 აგვისტოს N08/1758-15 წერილით მიმართა ამხანაგობას დაეზუსტებინა (გრძელვადიანი აქტივების ცვეთა და WACC კოეფიციენტი) წარმოდგენილი მოდელი, ამხანაგობას კომისიაში დაზუსტებული მოდელი არ წარმოუდგენია.

<u>ერთი სტანდარტული გარჩევადობის SD არხზე გაწეული დანახარჯების გაანგარიშება</u>

გაანგარიშებაში გამოყენებული პარამეტრები და შენიშვნები:

1. ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებაში დატვირთულ კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი შეადგენს 33%-ს. კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა დატვირთული კაპიტალის გადაანგარიშება განახორციელა კაპიტალის საშუალო შეწონილი კოეფიციენტის (WACC = 10.16 %) საშუალებით. ეს უკანასკნელი კომისიის მიერ გამოყენებული იყო მობილურ ქსელში საბითუმო ტარიფების გაანგარიშების დროს;

2. ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებაში გრძელვადიან აქტივებს ცვეთა დაერიცხა 20%-იანი წრფივი მეთოდით. მწარმოებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აპარატურის სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 10-15 წელს ხოლო რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება გაცემულია 10 წლიანი ვადით შესაბამისად აპარატურას ცვეთა უნდა დაერიცხოს მოცემულ ვადებს შორის უმცირესით, 10 წლიანი წრფივი მეთოდით; ქსელის დამხმარე საშუალებებს ცვეთა დაერიცხა 5 წლიანი წრფივი მეთოდით;

3. დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფი ითვალისწინებს მომსახურებისათვის გამოყენებულ ქსელის შესაბამის ელემენტებზე, რესურსების და სიმძლავრეების უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას და გაწეულ ინვესტიციებზე გონივრული უკუგებას. ამხანაგობის მიერ დადასტურებული სახით ყოველთვიური დანახარჯების ფარგლებში წარმოდგენილი იქნა მხოლოდ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ მიერ ამხანაგობისათვის გასაწევი ექსპლოატაციის და ოპერატიული მომსახურების დანახარჯები 6,000 ლარი დღგ-ს ჩათვლით, 5,085 ლარი დღგ-ს გარეშე; ამხანაგობის მიერ დოკუმენტურად დაუდასტურებელი სახით წარმოდგენილი არ იქნა ოფისის იჯარისა (500 ა.შ.შ დოლარი) და ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის სახელფასო დანახარჯები (11 000 ლარი და 12 500 ლარი);

ადმინისტრაციული პერსონალი				დარიცხული ანაზღაურება	
#		რა-ა	ერთეულის გადასახდელი ანაზღაურება	ერთეული	სულ
1	დირექტორი	1	3 000,00	3 750,00	3 750,00
2	იურისტი	1	2 000,00	2 500,00	2 500,00
3	ბუღალტერი	1	1 500,00	1 875,00	1 875,00
4	ოპერატორი	2	1 000,00	1 250,00	2 500,00
5	დამლაგებელი	1	300,00	375,00	375,00
				ჯამი:	**11 000,00**

ტექნიკური პერსონალი				დარიცხული ანაზღაურება	
#		რა-ა	გადასახდელი ანაზღაურება	ერთეული	სულ
1	ტექნიკური დირექტორი	1	3 000,00	3 750,00	3 750,00
2	სათაო აპარატურის ინჟინერი	1	2 500,00	3 125,00	3 125,00
3	გადამცემი აპარატურის ინჟინერი	1	2 500,00	3 125,00	3 125,00
4	აპარატურის ზედამხედველი ტექნიკოსი	4	500,00	625,00	2 500,00
				ჯამი:	**12 500,00**

4. მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობის კუთვნილ მულტიპლექსში, აპარატურულად შესაძლებელია 33.1 მგბტ/წმ ტევადობის სატელევიზიო ინფორმაციის რესურსის გატარება ის ერთდროულად ვერ შეძლებს 6 სტანდარტული გარჩევადობის SD სიგნალზე უფრო მეტის მიღებას, შესაბამისად დანახარჯები გაანგარიშებულ იქნა არა 1 მგბტ/წმ-ზე, არამედ არხების რაოდენობაზე.

თუ დანახარჯების განაწილების მოდელში გავითვალიწინებთ ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტურად დაუდასტურებელ დანახარჯებს (ოფისის იჯარისა და ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის სახელფასო დანახარჯებს) და ზემოთ პირველ, მე-2 და მე-4 პუნქტებში მოცემულ პარამეტრებს, მაშინ ერთ სტანდარტული გარჩევადობის ერთ SD არხზე დანახარჯები შეადგენს 5 657 ლარს (გადასახადების გარეშე).

ცხრილი N 2 ში მოცემილია გაანგარიშების შედეგები

ცხრილი N2

	ძირითადი საშუალებები		შესყიდვის ღირებულება		ყოველთვიური ცვეთის ხარჯი	დატვირთული კაპიტალი	სულ კაპიტალური დანახარჯები	პერსონალის ხელფასი	ექსპლუატაცია ოპერატიული მომსახურება იჯარა (დღ-ს) გარეშე	ჯამი (ლარი)
			USD (დღგ-ს გარეშე)	GEL (დღგ-ს გარეშე)						
	ქსელის ელემენტები	"ენკოდერები"								
		ფორმირებული მულტიპლექსი	135 593	306 244	2 552	2 593	5 145	12 500	5 085	22 730
	ქსელის დამხმარე საშუალებები	გაგრილების საშუალებები	330	760	13	6	19			19
		UPS	3 200	7 360	123	62	185			185
		სხვა	119	275	5	2	7			7
8	ადმინისტრაციული ხარჯები						0	11 000		11 000
	სულ		139 243	314 639	2 692	2 664	5 356	23 500	5 085	33 941
									არხების რაოდენობა	6
									დანახარჯები ერთ SD არხზე ლარებში დღგ-ს გარეშე	5 657

თუ დანახარჯების განაწილების მოდელში გავითვალიწინებთ მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებელ დანახარჯებს და ზემოთ პირველ, მე-2 და მე-4 პუნქტებში მოცემულ პარამეტრებს, მაშინ სტანდარტული გარჩევადობის ერთ SD არხზე დანახარჯები შეადგენს 1 740 ლარს (გადასახადების გარეშე).

ცხრილი N3-ში მოცემილია გაანგარიშების შედეგები

ცხრილი N 3

	ძირითადი საშუალებები		შესყიდვის ღირებულება		ყოველთვიური ცვეთის ხარჯი	დატვირთული კაპიტალი	ექსპლუატაცია ოპერატიული მომსახურება იჯარა (დღ-ს) გარეშე	ჯამი (ლარი)
			USD (დღგ-ს გარეშე)	GEL (დღგ-ს გარეშე)				
	ქსელის ელემენტები	"ენკოდერები"						
		ფორმირებული მულტიპლექსი	135 593	306 244	2 552	2 593	5 085	10 230
	ქსელის დამხმარე საშუალებები	გაგრილების საშუალებები	330	760	13	6		19
		UPS	3 200	7 360	123	62		185
		სხვა	119	275	5	2		7
8	ადმინისტრაციული ხარჯები							
	სულ		139 243	314 639	2 692	2 664	5 085	10 441
							არხების რაოდენობა	6
							დანახარჯები ერთ SD არხზე ლარებში დღგ-ს გარეშე	1 740

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „მზის“ მიერ განხორციელდა თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურებებისათვის საჭირო აპარატურის მონტაჟი, საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით კომისიამ ინფორმაცია და შესაბამისი განმარტებები გამოითხოვა შპს „მზისგან“.

შპს „მზე“ კომისიაში 2015 წლის 27 აგვისტოს წარმოდგენილ N შ-6/6308-15 წერილში აღნიშნავს შემდეგს:

ა) ამხანაგობის მიერ აგებული ქსელი სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და კომისიის მოთხოვნებს. ამხანაგობის კუთვნილ მულტიპლექსში, აპარატურულად შესაძლებელია 33.1 მგბტ/წმ ტევადობის სატელევიზიო ინფორმაციის რესურსის გატარება. ამჟამად ამხანაგობის სათაო სადგურში შესაძლებელია ერთდროულად 6 სტანდარტული გარჩევადობის SD სიგნალის მიღება;

ბ) მხოლოდ ენკოდერის ბლოკის დამატებით (ერთი ენკოდერი ერთ არხზე) შესაძლებელია კიდევ 5 სტანდარტული გარჩევადობის არხის დამატება. თითოეული ენკოდერის ფასი შესაბამის სტანდარტული გარჩევადობის ლიცენზიასთან ერთად 8.3-8.5 ათასი ევრო ღირს;

გ) სტანდარტულის ნაცვლად ერთი მაღალი გარჩევადობის სიგნალის დამატება დაახლოებით 5.6 ათასი ევროს ინვესტიციას მოითხოვს. ეს თანხა ესაჭიროება 6 სტანდარტული გარჩევადობის არხიდან ნებისმიერი ერთი SD არხის მაღალ გარჩევადობაზე გადაყვანას. ამ შემთხვევაში აპარატურულად არაფერი იცვლება, მხოლოდ შესაბამისი სალიცენზიო გასაღები უნდა შეიძინონ;

დ) შპს „მზის“ მიერ დამონტაჟებული აპარატურა არანაირ პერიოდულ საექსპლუატაციო და ოპერატიულ მომსახურებას არ საჭიროებს რომელიმე ორგანიზაციის (მათ შორის შ.პ.ს. „საქართველოს ტელერადიოცენტრის“) მხრიდან. აპარატურა მხოლოდ უნდა იქნას უზრუნველყოფული მისი ნორმალური მუშაობისათვის საჭირო ელექტრო კვებით, ტემპერატურითა და ტენიანობით. აპარატურას არ აქვს ცვეთადი თუ სახარჯი მასალები და ნაწილები. აპარატურის რომელიმე ნაწილის დაზიანების ან გაუმართავი ფუნქციონირების შემთხვევაში აპარატურა ავტომატურად გადადის სარეზერვო მუშაობის რეჟიმში და შესაბამისი შეტყობინება ქსელით ეგზავნება ამხანაგობის დაინტერესებულ წევრებს, რათა ისინი დაუკავშირდნენ მწარმოებლის ტექნიკური მომსახურების ცენტრს და მწარმოებელი უზრუნველყოფს არსებული ხარვეზის დროულად აღმოფხვრას; საგარანტიო პერიოდში შპს „მზე“ ამხანაგობას უფასოდ ემსახურება, ხოლო ამ ვადის ამოწურვის შემდეგ თუკი რაიმე დაზიანდება, მაშინ ამხანაგობას მოუწევს მხოლოდ შესაბამისი რემონტის ღირებულების გადახდა;

ე) სუბტიტრების გენერატორის შეძენას დაახლოებით 50 ათასი ევროს დამატებითი ინვესტიცია ესაჭიროება;

ვ) შპს „მზის“ ვარაუდით 3-4 ე.წ „გეპ-ფილერი“აბსოლუტურად საკმარისია იმ უბნების სტაბილური სიგნალით დასაფარად, სადაც ამჟამად სიგნალი სატელევიზიო ანძიდან ცუდად ვრცელდება. ამ მოწყობილობის ფასი დამოკუდებულია სიმძლავრეზე (ჩვეულებრივ 5-100 ვტ) და მწარმოებელზე (ხარისხზე). „გეითს ეარი“ ამჟამად სარგებლობს იტალიური კომპანიის „უანტასტიკ“-ის „გეპ-ფილერებ“-ით და მათი ფასი 5-8 ათას აშშ დოლარს არ აღემატება;

ზ) ლიცენზია, რომელიც გამოიყენება სერვერზე ელექტრონული პროგრამების (EPG) გენერირებისათვის შეზღუდულია არხების მომსახურების მაქსიმალურ რაოდენობით კერძოდ ამ ლიცენზიას მწარმოებელი „იკარუსი“ 10-ის ჯერადობით ყიდის ასეთ ლიცენზიას. შესაბამისად ამ ლიცენზიის დამატება გახდება აუცილებელი, მაშინ როდესაც ამხანაგობის ქსელში მე-11 არხი დაემატება.

შპს „მზის“ მიერ კომისიისათვის მოწოდებული ინფორმაციისა და შესაბამისი განმარტებების თანხმად ამახანაგობის მიერ მომავალში გასაწევი ინვესტიციების და დანახარჯების საფუძველზე მომზადებული ერთ SD და ერთ HD არხზე საპროგნოზო დანახარჯების გაანგარიშება:

გაანგარიშებაში გამოყენებული დამატებითი პარამეტრები:

1. შრომის ანაზღაურებაში გათვალისწინებული იქნა მხოლოდ ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი, რადგან შპს „მზის“ წერილის მიხედვით აპარატურის ექსპლუატაცია და მომსახურება არ საჭიროებს ტექნიკური მიმართულების საშტატო ერთეულის არსებობას. ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო ადმინისტრაციული ხელფასი შედგება:

	ადმინისტრაციული პერსონალი			დარიცხული ანაზღაურება	
#		რა-ა	ერთეულის გადასახდელი ანაზღაურება	ერთეული	სულ
1	დირექტორი	1	3,000.00	3,750.00	3,750.00
2	იურისტი	1	2,000.00	2,500.00	2,500.00
3	ბუღალტერი	1	1,500.00	1,875.00	1,875.00
4	ოპერატორი	2	1,000.00	1,250.00	2,500.00
5	დამლაგებელი	1	300.00	375.00	375.00
				ჯამი:	**11,000.00**

2. ქსელის საერთო ტევადობა 33.1 მგბტ/წმ გადანაწილდა ერთ HD (8 მგბტ/წმ) და 10 SD (33-8=25 25: 2.5=10) არხებზე, სულ 11 არხი;

3. შპს „მზის“ წერილში მოცემული ტექნიკური მახასიათებლების, წინასწარი სავარაუდო ფასების და მე-2-ში პუნქტში მოცემული მონაცემების მიხედვით განხორციელდა ქსელისათვის საჭირო მოწყობილობების დამატება;

4. გაანგარიშებას დაემატა ოფისის იჯარის საპროგნოზო დანახარჯი 500 ა.შ.შ დოლარის ექვივალენტის ოდენობით;

5. WACC-ის და ცვეთის დარიცხვის პარამეტრები იგივე, რაც გამოყენებულ იქნა ზემოთ მოცემულ გაანგარიშებებში.

გაანგარიშების შედეგები მოცემული ცხრილი N 4-ში

ცხრილი N 4

ძირითადი საშუალებები			შესყიდვის ღირებულება			ყოველთვიური ცვეთის ხარჯი	დატვირთული კაპიტალი	ექსპლუატაცია ოპერატიული მომსახურება იჯარა (დღ-ს) გარეშე	შრომის ანაზღაურება	ჯამი
			USD (დღგ-ს გარეშე)	GEL (დღგ-ს გარეშე)	EURO (დღგ-ს გარეშე)					
ქსელის ელემენტები		დამატებითი"ენკოდერები"		93 644	EUR 36 016,95	780	793	5 085		14 909
		ერთი HD სიგნალის დამატება		12 339	EUR 4 745,76	103	104			
		სუბტიტრების გენერატორის		110 169	EUR 42 372,88	918	933			
		ჩრდილოვანი ზონების აღმოჩენა/აღმოფხვრა „გეპ-ფილერი"	$27 119	62 373		520	528			
		ფორმირებული მულტიპლექსი	135 593	306 244		2 552	2 593			
ქსელის დამხმარე საშუალებები		გაგრილების საშუალებები	330	760		13	6			19
		UPS	3 200	7 360		123	62			185
		გენერატორი	6 000	13 800		230	117			347
		სხვა	119	275		5	2			7
ადმინისტრაციული ხარჯები								1 150	11 000	12 150
სულ			172 362	606 964	83 136	5 243	5 139	6 235	11 000	27 617
									სულ ტევადობა	33,1
									დანახარჯები ერთ მგბტ/წმ-ზე ლარებში დღგ-ს გარეშე	834
									SD არხისათვის 2,5 მგბტ/წმ	2 086
									HD არხისათვის 8 მგბტ/წმ	6 675

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ტარიფის გაანგარიშების მოდელების შესწავლის საფუძველზე კომისია აღნიშნავს, რომ მხარეების მიერ კომისიაში წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციით დასტურდება რომ ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის" მიერ 2015 წლის 18 მაისის N შ/3013-15 წერილზე თანდართული ოფერტით გათვალისწინებული სატელევიზიო კონტენტით ღია ეთერით 2.5მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის გათვალისწინებული ტარიფი 3600.00 აშშ დოლარი წარმოადგენს ხარჯებზე არაორიენტირებულ ტარიფს და შესაბამისად, შეუსაბამოა კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნქტთან, ისევე როგორც ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის" მიერ 2015 წლის 13 ივლისს კომისიაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (კომისიაში რეგისტრაციის N შ-6/4698-15) გადმოგზავნილი და ინტერნეტში ამხანაგობის ვებ გვერდზე (http://multiplextbilisi.ge/) გამოქვეყნებული ოფერტით გათვალისწინებული სატელევიზიო კონტენტით ღია ეთერით 2.5მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის გათვალისწინებული ტარიფი 8000.00 აშშ დოლარი წარმოადგენს ხარჯებზე არაორიენტირებულ ტარიფს და შესაბამისად შეუსაბამოა კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნქტის მოთხოვნებთან.

კომისია მიუთითებს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველ პუნქტზე და აღნიშნავს, რომ კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას, ხოლო 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის ან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 3000 და არა უმეტეს 30000 ლარისა.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნტის შესაბამისად ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ამგებ მაუწყებლებს განესაზღვრათ ვალდებულება უზრუნველეყოთ ქსელის ფარგლებში არსებულ რესურსთან თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატით (ხოლო დანარჩენ თავისუფალ რესურსთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული/ლიცენზირებული ტელემაუწყებლების) არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და <u>ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფით დაშვება</u> და ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურების სახეების შეთავაზება.

იმის გათვალისწინებით, ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“ მიერ 2015 წლის 18 მაისის Nშ/3013-15 წერილზე თანდართული ოფერტით გათვალისწინებული სატელევიზიო კონტენტით ღია ეთერით 2.5მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის გათვალისწინებული ტარიფი 3600.00 აშშ დოლარი წარმოადგენს ხარჯებზე არაორიენტირებულ ტარიფს და შესაბამისად, შეუსაბამოა კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნქტთან, ისევე როგორც ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“ მიერ 2015 წლის 13 ივლისს კომისიაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-6/4698-15) გადმოგზავნილი და ინტერნეტში ამხანაგობის ვებ გვერდზე (http://multiplextbilisi.ge/) გამოქვეყნებული ოფერტით გათვალისწინებული სატელევიზიო კონტენტით ღია ეთერით 2.5მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის გათვალისწინებული ტარიფი 8000.00 აშშ დოლარი წარმოადგენს ხარჯებზე არაორიენტირებულ ტარიფს და შესაბამისად შეუსაბამოა კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნქტის მოთხოვნებთან, კომისიას მიაჩნია, რომ ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“ წევრების შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივის“, შპს „ტელეკომპანია თბილისის“ და შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ ადგილი აქვს კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნქტისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის დარღვევას, რაც წარმოადგენს სანქცირების საფუძველს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიას“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივს“, შპს „ტელეკომპანია თბილისს“ და შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ უნდა მიეცეს გაფრთხილება კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნქტისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის დარღვევის გამო; ამავე დროს, ციფრული სამაუწყებლო ქსელის ამგებ მაუწყებლებს (შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივი“, შპს „ტელეკომპანია თბილისი“ შპს „ტელეკომპანია კავკასია“) უნდა დაევალოთ დაადგინონ სატელევიზიო კონტენტის ღია ეთერით 1 მგბ/წმ-ით გავრცელების <u>ხარჯებზე ორიენტირებული ყოველთვიური ტარიფი</u> (რომელიც უნდა მოიცავდეს 24 საათიანი უწყვეტი მომსხურების მიწოდების (სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების) ყველა ხარჯს) და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ კომისიას და გამოაქვეყნონ საკუთარ ვებ გვერდზე მოწვევის ოფერტა;

რაც შეეხება შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ დავის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაეყენებულ დანარჩენ მოთხოვნებს, კომისია განმარტავს შემდეგს:

ა) კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილებით თბილისის ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება 2015 წლის 17 ივნისიდან 10 წლის ვადით მიანიჭა შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი 203844723), შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი 203842823), ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404385465) შპს „ტელეკომპანია თბილისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 202063818) და შპს „ტელეკომპანია პიკს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 202395247), შესაბამისად, შპს „ტელეკომპანია კავკასია“ ისევე როგორც შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია“ ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივი“ შპს „ტელეკომპანია თბილისს“ და შპს „ტელეკომპანია პიკი“ წარმოადგენს კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული სიხშირული რესურსის თანასწორუფლებიან მფლობელს და მოსარგებლეს ამავე გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ა), ბ), გ) და დ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული პარამეტრებით მონაცემთა გადაცემისათვის;

ბ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ამგებ მაუწყებლებს აქვთ სრული თავისუფლება:

ბ.ა) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ურთიერთშეთანხმებით დაადგინონ ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სიხშირული რესურსის გამოყენებით აგებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ექსპლუატაციის წესი და პირობები.

ბ.ბ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის თავისუფალი რესურსები გამოიყენონ საკუთარი დამატებითი არხის/არხების განსათავსებლად ან სხვა პირის ღია საეთერო ან/და მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული მაუწყებლის) სატელევიზიო პროგრამის გასავრცელებლად, კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ა), ბ) და გ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად, ამავე გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხარჯებზე ორიენტირებული და ერთგვაროვანი ტარიფით.

გ) კომისია აღნიშნავს, რომ ანალოგური მიწისზედა ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ფორმირებისათვის ადგილობრივ საეთერო ტელემაუწყებლებსთვის უსასყიდლოდ რადიოსიხშირული რესურსის მინიჭება განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით მოწონებული „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციებისა“ და საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 20 თებერვალს მიღებული „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 27 თებერვალს (სარეგისტრაციო კოდი 320110000.05.001.017341).

საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით მოწონებული „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციებში“ აღნიშნულია, რომ ვინაიდან ქვეყნის მიზანია ციფრულ მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობაზე გადასვლისას მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების ინტერესები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბაზრის შემდგომ განვითარებას, დოკუმენტმა გაითვალისწინა სხვადასხვა შესაძლებლობები ადგილობრივი საეთერო მაუწყებლებისთვის, მათ შორის ერთი და იგივე ადგილობრივ ზონაში საეთერო მაუწყებლობის განმახორციელებელი ადგილობრივი მაუწყებლებისთვის ღია კონკურსის გარეშე, უსასყიდლოდ ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექსპლატფორმის ფორმირებისტვის საჭიროსიხშირული რესურსის მინიჭება, რაც განხორციელდა კიდეც კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილებით. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა ის ვალდებულებები, რა ვალდებულებების შესრულებაც უნდა უზრუნვლყონ კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით გათვალისწინებულმა მაუწყებლება. თუმცა მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არც მთავრობის მიერ 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით მოწონებულ „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციებში“ და არც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში არ არის დეტალურად მოწესრუგებული ისეთი საკითხები, როგორიც არის მაგალითად საკითხი იმის თაობაზე, თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებელი, რომელსაც მთავრობის ზემოაღნიშნული სტრატეგიისა და „ელექტონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს რადიოსიხშირული რესურსი ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად და რომელსაც გავლილი აქვს ავტორიზაცია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, შეიჩერებს ავტორიზაციას „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ან საერთოდ შეწყვეტს საქმიანობას მაუწყებლობის სფეროში. ბუნებრივია სავსებით ლეგიტიმურია კითხვა: მაუწყებლის მიერ მაუწყებლობაზე ავტორიზაციის შეჩერების ან გაუქმების ფაქტი ხომ არ ქმნის მაუწყებლებისთვის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად მინიჭებული რადიოსიხშირული რესურსით სარგელობის უფლების შეზღუდვის ან საერთოდ გაუქმების საფუძველს და ეს იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელია იყოს მოცემულობა, როცა მაუწყებლებმა გაიღეს ხარჯები და განახორციელეს ინვესტიციები აღნიშნული ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ასაგებად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისთვის, რომ ერთი მხრივ დაცულ იქნას იმ მაუწყებლების უფლებები, რომლებსაც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით მოწონებული „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი რეკომენდაციებისა“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიენიჭა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად და მეორე მხრივ, თავიდან იქნას აცილებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ორაზროვანი ინტერპრეტაციები, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიმართოს საქართველოს მთავრობას, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით მოწონებული „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი რეკომენდაციების“ გათვალისწინებით, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი მაუწყებლებისთვის უსასყიდლოდ მინიჭებული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საკითხების საკანონმდებლო დონეზე დადგენის მიზნით.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ მიმდინარე დავის ფარგლებში კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირებისა და რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტების მიერ შესწავლილ იქნა თბილისის ადგილობრივი მულტიპლექსპლატფორმის ფუნქციონირების საკითხი, კერძოდ, კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარამენტის 2015 წლის 11 აგვისტოს Nშ-10/5770-15 სამსახურებრივ ბარათში აღნიშნულია, რომ თბილისის ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობას ამ ეტაპზე ახორციელებს შპს „ტელეკომპანია კავკასია“ და შპს „ტელეკომპანია თბილისი“; ხოლო კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის 2015 წლის 18 აგვისტოს Nშ-10/5975-15 სამსახურებრივ ბარათში აღნიშნულია, რომ კომისიის 2014 წლის 24 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების შესაბამისად GEO259 სამაუწყებლო ზონაში (თბილისი) განთავსებულია ციფრული სამაუწყებლო გადამცემი თბილისის ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისთვის. გადამცემი ჩართულია და ამჟამად მისი ექსპლუატაცია მიმდინარეობს კომისიის N716/13 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ 30-ე სატელევიზიო არხზე 546 მჰც სიხშირეზე. ქსელი აგებულია DVB-T2 COFDM პარამეტრებზე დაყრდნობით, 256 QAM მოდულაციით და ხელშეშლამდგრადი კოდირების სიჩქარით 2/3 რაც პოტენციურად იძლევა 33.1 მგბ/წმ სიჩქარის მიღწევის შესაძლებლობას. სატელევიზიო ქსელის ფარგლებში უზრუნველყოფილია სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება 2.17 მგბ/წმ სიჩქარით, 6+1 სქემით, სადაც შესაძლებელია ექვსი სატელევიზოო არხის ერთდროულად გადაცემა და ერთი არხი სარეზერვოა. გადამცემის გამოსასვლელზე სიჩქარე შეადგენს 1 კვტ-ს (30დბვ), ანტენის გაძლიერების კოეფიციენტია 8.5 დბ. კაბელში და დუპლექსორში დანაკარგების გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ეფექტურად გასხივებული სიმძლავრე 3 კვტ. უზუნველყოფილია. შესაბამისად, დეპარტამენტს მიაჩნია, რომ კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის მე-5 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული ტექნიკური პირობების სრულად დასაკმაყოფილებლად, აგებული DVB-T2 მულტიპლექს პლატფორმის პოტენციური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი რაოდენობის სატელევიზო არხების განსათავსებლად აუცილებელი ტექნიკური საშუალებების დამონტაჟება. სამსახურებრივ ბარათში ასევე აღნიშნულია, რომ ამჟამად თბილისის მულტიპლექსის მეშვეობით მაუწყებლობას ახორციელებს შპს „ტელეკომპნია კავკასია“ და შპს „ტელეკომპანია თბილისი“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიის აპარატის მაუწყებლობს რეგულირებისა და რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტების სამსახურებრივ ბარათებზე დაყრდნობით კომისია აღნიშნავს, რომ თბილისი ადგილობრივი მულტიპლექსპლატფორმა გაშვებულია ექსპლუატაციაში და აღნიშნული მულტიპლექსპლატფორმის მეშვეობით მაუწყებლობას ახორციელებენ შპს „ტელეკომანია კავკასია“ და შპს „ტელეკომპანია თბილისი“.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შესაბამისად, თბილისის ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება მიენიჭა ასევე შპს „ტელეკომპანია პიკს“ (საიდენტიფიციკაციო კოდი 202395247), შესაბამისად, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ცალკე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში კომისიის მიერ ასევე შესწავლილ იქნას შპს „ტელეკომპანია პიკის“

მიერ კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტის, 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლების, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, 45-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 98-ე, 99-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცნობილ იქნას ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის" მიერ 2015 წლის 18 მაისის Nშ/3013-15 წერილზე თანდართული ოფერტით გათვალისწინებული სატელევიზიო კონტენტით ღია ეთერით 2.5მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის გათვალისწინებული ტარიფი 3600.00 აშშ დოლარი ხარჯებზე არაორიენტირებულად და კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნქტის შეუსაბამოდ;

2. ცნობილ იქნას ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის" მიერ 2015 წლის 13 ივლისს კომისიაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გადმოგზავნილი ოფერტით (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-6/4698-15) გათვალისწინებული სატელევიზიო კონტენტით ღია ეთერით 2.5მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის გათვალისწინებული ტარიფი 8000.00 აშშ დოლარი ხარჯებზე არაორიენტირებულად და კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნქტის შეუსაბამოდ;

3. მიეცეთ გაფრთხილება შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიას", ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივს", შპს „ტელეკომპანია თბილისს" და შპს „ტელეკომპანია კავკასიას" კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნქტისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის დარღვევის გამო;

4. დაევალოთ ციფრული სამაუწყებლო ქსელის ამგებ მაუწყებლებს (შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია", ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივი", შპს „ტელეკომპანია თბილისი" შპს „ტელეკომპანია კავკასია") დაადგინონ სატელევიზიო კონტენტის ღია ეთერით 1 მგბ/წმ-ით გავრცელების ხარჯებზე ორიენტირებული ყოველთვიური ტარიფი (რომელიც უნდა მოიცავდეს 24 საათიანი უწყვეტი მომსხურების მიწოდების (სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების) ყველა ხარჯს) და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ კომისიას და გამოაქვეყნონ საკუთარ ვებ გვერდზე მოწვევის ოფერტა;

5. განემარტოს შპს „ტელეკომპანია კავკასიას", რომ:

ა) შპს „ტელეკომპანია კავკასია" ისევე როგორც შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია" ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივი" შპს „ტელეკომპანია თბილისს" და შპს „ტელეკომპანია პიკი" წარმოადგენს კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული სიხშირული რესურსის თანასწორუფლებიან მფლობელს და მოსარგებლეს ამავე გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ა), ბ), გ) და დ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული პარამეტრებით მონაცემთა გადაცემისათვის;

ბ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ამგებ მაუწყებლებს აქვთ სრული თავისუფლება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ურთიერთშეთანხმებით დაადგინონ ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სიხშირული რესურსის გამოყენებით აგებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ექსპლუატაციის წესი და პირობები.

გ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის თავისუფალი რესურსები გამოიყენონ საკუთარი დამატებითი არხის/არხების განსათავსებლად ან სხვა პირის ღია საეთერო ან/და მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული მაუწყებლის) სატელევიზიო პროგრამის გასავრცელებლად, კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ა), ბ) და გ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად, ამავე გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ი) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხარჯებზე ორიენტირებული და ერთგვაროვანი ტარიფით.

6. კომისიამ მიმართოს საქართველოს მთავრობას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით მოწონებული „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი რეკომენდაციების" გათვალისწინებით, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი მაუწყებლებისთვის უსასყიდლოდ მინიჭებული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საკითხების საკანონმდებლო დონეზე დადგენის მიზნით;

7. კომისია ცალკე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეისწავლის შპს „ტელეკომპანია პიკის“ (საიდენტიფიციკაციო კოდი 202395247) მიერ კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის N716/13 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების საკითხს;
8. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (მ.ნინუა) წინამდებარე გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“, შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივის“, შპს „ტელეკომპანია თბილისის“, შპს „ტელეკომპანია პიკისა“ და შპს „ტელეკომპანია კავკასიისთვის“ გაგზავნა;
9. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტს (ნ.ნიჟარაძე) შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივის“, შპს „ტელეკომპანია თბილისის“ და შპს „ტელეკომპანია კავკასიისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ინფორმაციის კომისიის უწყებრივ რეესტრში შეტანა;
10. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს ამხანაგობა „მულტიპლექსთბილისის“ „ევრიკა ტელერადიოკომპანიის“, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივის“, შპს „ტელეკომპანია თბილისის“ შპს „ტელეკომპანია კავკასიისთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
11. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილი);
12. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი.ხარებავა);
13. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (მე-4 და მე-8 პუნქტების გარდა) დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს (კ. ყურაშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	კახი ბექაური
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე